პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 ივლისი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 134 (10 058) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დეპუტატის მოთხოვნით

თანამდებობა— ფიზიოლოგი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის ბ. როგატინის სადეპუტატო მოთხოვნით სსრ კავშირის სპორტსახკომმა და პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების თანამდებობათა საკვალიფიკაციო ცნობარს დაემატოს თანამდებობა „ფიზიოლოგი ფიზიკურ კულტურასა და სპორტში". მნიშვნელოვანი დეტალია: ამ თანამდებობას შემოიღებენ საწარმოებში (გაერთიანებებში) და ორგანიზაციებში საწარმო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ნაცვლად ან მასთან ერთად.

ვაქვეყნებთ დასახელებულ დადგენილებას.

1. დაემატოს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარს, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს სამდივნოს მიერ 1986 წლის 27 მარტის № 10216/142 დადგენილებით, საკვალიფიკაციო დახასიათება თანახმად დანართისა.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო დახასიათება შემოღებული იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

3. დამტკიცდეს თანამდებობრივი ხელფასები „ფიზიოლოგებისთვის ფიზკულტურასა და სპორტში", როგორც ამავე საწარმოს (გაერთიანების) და სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის საწარმოების ინჟინრებისთვის".

დადგენილება ხელმოწერილია შრომსახკომის თავმჯდომარის ი. გლადკინისა და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ლომონოსოვის მიერ. საკვალიფიკაციო ცნობარის დამატებაში განსაზღვრულია ფიზიოლოგის თანამდებობრივი ვალდებულებანი და კომპეტენცია, მოთხოვნები მისდამი.

1989

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები ოთარ ნოზაძე და ვაჟა დანელია დონეცკიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

დარჩა 14 სახეობა

კლასიკური ჭიდაობა (დონეცკი). ასეთი წარმატება საქართველოს კლასიკოსებს კარგა ხანია არ ჰქონიათ. საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე მათ ხუთი სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ IV ადგილზე გავიდნენ. ეს მაშინ, როცა ოთხი წლის წინათ მსგავსი შეჯიბრებიდან მხოლოდ 1 ოქროს მედლითა და გუნდური IX ადგილით დაბრუნდნენ.

დონეცკში მოპოვებულ მედლებზე უკვე გაუწყეთ. ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენმა ბიჭებმა თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიხვეჭეს. დაწვრილებით შევეხებით რამდენიმე შეხვედრას. 62 კგ წონითი კატეგორიის ფინალურ შერკინებაში ერთმანეთის პირისპირ სამტრედიელი ჭაბუკი, არმიელი აკაკი ჩაჩუა (მწვრთნელები რევაზ გვინცაძე, ოთარ ტატიშვილი) და მოსკოველი სერგეი მარტინოვი დადგნენ. პირველ წუთებზე ქულებით მოსკოველი მოჭიდავე დაწინაურდა, მაგრამ ქართველი ფალავანი მალე მოეგო გონს, ფანდების მთელი კასკადი ჩაუტარა მეტოქეს და 12 ქულა აართვა მას. საბოლოოდ, ჩაჩუამ იმარჯვა და ოქროს მედალსაც დაეუფლა.

ჩვენი გუნდის წევრები მეორე ოქროსაც ელოდნენ, ამჯერად 90 კგ წონით კატეგორიაში, სადაც ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობის გამარჯვებული, ქუთაისელი დინამოელი გოგი კოლუაშვილი (მწვრთნელები ვიტალი ალავიძე, ჯემალ კოსტავა) რსფსრ-ის გუნდის წევრს ვლადისლავ პროშჩალიგინს ხვდებოდა. ქართველმა სპორტსმენმა ორთაბრძოლა ჩვეულ სტილში ვერ ჩაატარა, წამიერი მოდუნება ძვირად დაუჯდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი — კოლუაშვილს ვერცხლის მედალი ერგო.

ამავე წონაში შახტელმა ვლადიმერ კობაიძემ „ბრინჯაო" მოუგო ბახჩისარაელ ბაზვა ჩხარტიშვილს. თბილისელი რამაზ გადაბაძე VI ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, 242 ქულით პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა დაიკავა, მეორე ადგილზე გავიდნენ მოსკოველები — 228, მესამე ადგილი სომხეთის კოლექტივმა მოიპოვა — 209 ქულა. საქართველოს კლასიკოსებს (უფროსი მწვრთნელი დავით დავითაია, მწვრთნელები ვიტალი ზამთარაძე, თამაზ ტუხაშვილი, ჯემალ მეგრელიშვილი, ექიმი გიორგი ჭუმბურიძე) 182 ქულით IV ადგილი ერგოთ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის **ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს გელა პაპაშვილი, აკაკი ჩაჩუა, გოგი კოლუაშვილი, ნაიბ დვალაძე და „შახტელი ქართველი" ვლადიმერ კობაიძე.** ისინი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მინსკში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, ივლისის ბოლოს კი მწვრთნელები დაასახელებენ იმ მოჭიდავეებს, რომლებიც 4-6 აგვისტოს ბუდაპეშტში მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ.

ფეხბურთი. კრამატორსკის მახლობლად, „ავტოსტეკლოს" სტადიონზე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა მეორე მატჩი გამართა ყირგიზეთის ნაკრებთან და, როგორც ვიუწყებოდით, გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

თამაშის პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა საქართველოს ნაკრების უპირატესობა, თუმცა, გოლი დიდ ხანს არ ჩანდა. პირველი გოლი 11-მეტრიანით გაიტანა კერძევაძემ, რამდენიმე წუთის შემდეგ ხორგუაშვილმა ორამდე გაზარდა ანგარიში, მესამე ბურთი კი ამ შეხვედრაში კვლავ კერძევაძის ანგარიშზეა — 3:0. ბოლო წუთებზე ყირგიზეთის ფეხბურთელებმა შეძლეს შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში — 3:1. ასე დამთავრდა მატჩი და საქართველოს ნაკრებმა მორიგი 2 ქულა ჩაიწერა აქტივში.

ჩვენმა გუნდმა თამაში ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ლორთქიფანიძე (დევაძე), ჩუბინიძე (თ. ყიფიანი), წიკლაური, მელქაძე, მაჭავარიანი (გულიაშვილი), მელიწკაური (გელაძე), ნემსაძე, ჯამარაული, კერძევაძე, გოგაძე (ნეფარიძე), ხორგუაშვილი.

თამაშების საერთო გუნდურ ჩათვლაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რომ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები.

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1. რუსეთის ფედ.	67	54	48	169
2. უკრაინა	46	33	40	119
3. ბელორუსია	16	28	28	72
4. მოსკოვი	18	21	27	66
5. ლენინგრადი	12	16	20	48
6. **საქართველო**	12	13	15	40
7. ყაზახეთი	6	4	13	23
8. ლიტვა	4	8	10	22
9. უზბეკეთი	6	4	11	21
10. სომხეთი	7	6	6	19

შენიშვნა: ჩვენს დელეგაციას მეორმოცე მედალი შესძინა კლასიკური სტილის მოჭიდავემ გიორგი კოლუაშვილმა, რომელმაც, როგორც გუშინ ვიუწყებოდით, 90 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

სსრ. სახ. ბიბლიოთეკა

ემზადებიან...

ხვალიდან თამაშებში ჩაებმებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. გუნდი გუშინ გაემგზავრა დონეცკში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა

ჟენევა. უეფა-ს შტაბ-ბინაში მოეწყო ევროპის საკლუბო ტურნირების პირველ წრეში (13 და 27 სექტემბერი) მოასპარეზეთა წილისყრა.

ჩემპიონთა თასზე დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მეტოქე იქნება ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი".

თასების მფლობელთა ტურნირში მოსკოვის „ტორპედო" შეხვდება ირლანდიის „კორკ-სიტის".

უეფა-ს თასზე ითამაშებენ: „დინამო" (კიევი) — მტკ (ბუდაპეშტი), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — იფკ გეტებორგი (შვეცია), „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ნესვედი" (დანია), „ატალანტა" (იტალია) — „სპარტაკი" (მოსკოვი).

საბჭოთა კლუბებიდან პირველ შეხვედრას სტუმრად მხოლოდ „სპარტაკი" გამართავს.

მომავლის გუნდი

12 ივლისს ჰანოვერის (გფრ) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები, რომელსაც სათავეში უდგას უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ სალკოვი.

ნაკრებს თამამად შეიძლება, რომ მომავლის გუნდი ეწოდოს, ვინაიდან მის ღირსებას სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები იცავენ. ესენია: მეკარეები ი. ოყროშიძე („ზენიტი"), გ. სტაუჩე („სპარტაკი"), აგრეთვე — ვ. ივანოვი, მ. მატვეევი (ორივე — „ზენიტი"), ო. ბენკო, ო. ტაბუნოვი (ორივე — ასკ „კარპატი"), ო. თეთრაძე (თბილისის „დინამო"), ი. მოროზი, ვ. ონოპკო, ო. სალენკო (ყველა — კიევის „დინამო"), ს. შჩეტნიკოვი, ს. სკლიაროვი (ორივე — მოსკოვის „დინამო"), ი. ჩუგუნოვი, ი. ტიშკოვი (ორივე — „ტორპედო"), მ. კასიმოვი („ფახთაქორი"), ა. ტიმოშენკო (მინსკის „დინამო") და ა. ასადოვი (ბაქოს „ნეფთჩი").

ჭადრაკი (კრამატორსკი). ქალთა ტურნირში საქართველოს გუნდმა რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკეები დაამარცხა ანგარიშით 2,5:0,5. სხვა გუნდების ურთიერთშეხვედრები ფრედ დამთავრდა: უკრაინა — აზერბაიჯანი 1,5:1,5, მოლდავეთი — ბელორუსია 1,5:1,5.

I-VI ადგილებისთვის მებრძოლ მოჭადრაკეთა გუნდური მდგომარეობა ასეთია: საქართველო —3,5 ქულა, უკრაინა — 3,5, ბელორუსია — 3, აზერბაიჯანი—3, რუსეთის ფედერაცია — 2,5, მოლდავეთი — 2,5.

ვაჟები, როგორც ცნობილია, VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან. მორიგი ტურის შეხვედრები: საქართველო—მოლდავეთი — 4:1, სომხეთი — ლატვია — 3:2, აზერბაიჯანი — ყაზახეთი—5:0.

გუნდები	1	2	3	4	5	6	7	8	ქულა
1. უზბეკეთი	▨	7:8 0	5:7 0					15:8 2	2
2. საქართველო	8:7 2	▨					8:23 0	5:4 2	4
3. რსფსრ	7:5 2		▨			31:1 2		15:9 2	6
4. უკრაინა				▨	22:4 2	28:2 2	21:11 2		6
5. აზერბაიჯანი				4:22 0	▨	27:7 2		5:15 0	2
6. ლენინგრადი			1:31 0	2:28 0	7:27 0	▨			0
7. მოსკოვი		23:8 2	9:15 0	11:21 0			▨		2
8. ლიტვა	8:15 0	4:5 0			15:5 2			▨	2

მკითხველთა თხოვნით გთავაზობთ კეტბურთელთა შეხვედრების სატურნირო მდგომარეობას სამი ტურის შემდეგ.

კეტბურთი (სიმფეროპოლი). მორიგ ტურში საქართველოს სპორტსმენებმა დაამარცხეს ლიტვის წარმომადგენლები — 5:4. ჩვენს კეტბურთელებს ჩასატარებელი დარჩათ 4 შეხვედრა. ჯერჯერობით მათ 2 მატჩი მოიგეს და ერთი დათმეს.

ბადმინტონი (დნეპროპეტროვსკი). საქართველოს სპორტსმენებმა 8 უძლიერესთა შორის მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

სპორტულ ტანვარჯიშში (დონეცკი). ვაჟთა სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერთა რიგებში არიან: 1. ბელორუსია, 2. უკრაინა, 3. რუსეთის ფედერაცია, 4. საქართველო, 5. უზბეკეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენსინგი— მამაკაცთა შორის

1932 წლის 23 მარტს მესტიელ ბესარიონ და ფაცუ ხერგიანების ოჯახს მესამე შვილი შეეძინა, ვაჟს ჩხუმლიანი შეარქვეს. მოგვიანებით, როცა გაიზარდა, ჩხუმლიანმა მეორე სახელი — მიხეილი დაირქვა.

1946 წელს მიხეილ ხერგიანმა სვანეთის ომისშემდგომი პირველი ალპინიადის მონაწილეებთან ერთად მთამსვლელური ნათლობა მწვერვალ ბანგურიანზე მიიღო. მაშინ თოთხმეტისა იყო. უკვე დავაჟკაცებული მიხეილი იხსენებდა: „ბავშვობიდან მიტაცებდა სპორტი: ჭიდაობა, თხილამურები და სულგანაბული ყურს ვუგდებდი მამის ნაამბობს იმის შესახებ, თუ 1937 წელს როგორ დალაშქრეს უშბა. მთამსვლელობას ნამდვილ ვაჟკაცურ საქმედ ვთვლიდი. მტკიცედ ჯერ კიდევ მაშინ ამოვიჭერი გულში, რომ მთამსვლელი გავხდებოდი.

მიხეილი 1951 წელს ადილ-სუში ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლაში ჩაირიცხა. „ქვა" და „პური" იყო ის პირველი სიტყვები, რომლებიც თავაზიანმა ქართველმა ჭაბუკმა რუსულად ისწავლა. ინსტრუქტორთა სკოლის დამთავრების შემდეგ მიხეილ ხერგიანის დახასიათებაში ჩაწერეს წინასწარმეტყველური სიტყვები: „...ამხანაგ ხერგიანისგან უეჭველად პირველხარისხოვანი მთამსვლელი დადგება". პროგნოზი მთლიანად გამართლდა. 1953 წელს ხერგიანი, მთამსვლელთა ენაზე რომ ვთქვათ, თავის პირველ „ხუთიანს" (მწვერვალების სირთულის კატეგორიაა. რაც უფრო მაღალია ეს ციფრი, მით რთულია. რედ.) აკეთებს. მთამსვლელთა ბანაკ „მეტალურგის" ინსტრუქტორებთან ერთად ულუთაუ-ჩანაზე ჩრდილო დასავლეთის ფერდით ადის. მომდევნო წელს იმავე მწვერვალზე ჩრდილო-დასავლეთის კედლის ცენტრის გავლით მოექცა. კიდევ ერთი წლის შემდეგ საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიციის წევრებთან ერთად ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალ კომუნიზმის პიკზე (7495 მ) ახალი გზით ადის და სსრ კავშირის ჩემპიონი პირველად ხდება (ამ მარშრუტს შემდეგ „ქართველთა გზა" ეწოდა. რედ.). 1956 წელს კავკასიონზე თიუთიუბაშის დასავლეთ მწვერვალზე ჩრდილოეთის მხრიდან პირველ ასვლას მეთაურობს და სსრ კავშირის ჩემპიონის მეორე მედალს იმსახურებს. 1957 წელს იოსებ კახიანთან ერთად ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან იმორჩილებს დონღუზ-ორუნს, რაც მანამდე ვერავინ გაბედა. მომდევნო წელს, როცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმას დასალაშქრავად ემზადებოდა, საბჭოთა და ჩინელ მთამსვლელებთან ერთად პამირში ლენინის პიკი (7134 მ) დალაშქრა, სამწუხაროდ, „მსოფლიოს მწვერვალზე" ასვლის ექსპედიცია ვეღარ განხორციელდა და ეს მიხეილ ხერგიანის ოცნებად დარჩა.

ლენინის პიკის შემდეგ ხერგიანმა მრავალი პირველხარისხოვანი ასვლა განახორციელა და 1964 წელს ქართველ მთამსვლელებთან (შალვა მარგიანი, ჯოკია გუგავა, გივი წერედიანი, უმცროსი მიხეილ ხერგიანი, ჯუმბერ კახიანი) ერთად უშბაზე აწყობს საყოველთაოდ გახმაურებულ ლაშქრობას ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლით, რომელიც „სარკით" ასვლად მოინათლა. ამ ასვლისთვის იგი, თანაგუნდელებთან ერთად, კვლავ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ოთხი წლის მერე იმავე უშბაზე იგი ხელმძღვანელობს ასევე გახმაურებულ ალპინიადას, რომლის 45 წევრმა თბილისიდან, ქუთაისიდან და სვანეთის რაიონებიდან მიზანს კლასიკური მარშრუტით მიაღწია.

მიხეილ ხერგიანი ისეთივე ნიჭიერი და სახელგანთქმული მეკლდეური იყო, როგორი მთამსვლელიც გახლდათ. მან 1960-დან 1967 წლამდე ინდივიდუალურ გარბენში ყველა საკავშირო შეჯიბრებაზე გაიმარჯვა. 1960 წელს დიდი ბრიტანეთის მთიან რაიონებში რთული კლდოვანი მარშრუტების გავლისთვის ინგლისელებმა „კლდის ვეფხვი" შეარქვეს.

მიხეილ ხერგიანი (მარცხნიდან), ჯონ ჰანტი და იოსებ კახიანი.

„კლდის ვეფხვი" ამბობდა: „ბევრი მედალი დავიმსახურე, მაგრამ ჩემი გული ყველაზე მეტად მაშინ ხარობს, როცა ვიხსენებ მთაში რამდენი ადამიანი გადამირჩენია".

მიხეილის თავდადებაზე ლეგენდები დადიოდა. ადამიანთა გადასარჩენად იგი მთაში ნებისმიერ ამინდში და დღე-ღამის ნებისმიერ დროს გარბოდა.

ამ უებრო მთამსვლელმა საკავშირო პირველობებში, ალპინიზმსა და მეკლდეურობაში, ათი ოქროს მედალი მოიპოვა. ყოველივე ამისთვის 1966 წელს „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს.

მიხეილ ხერგიანი უცხოეთის მთების დასალაშქრავად ოთხჯერ გაემგზავრა (1960 წელს — ინგლისში, 1963 წელს — ბულგარეთში, 1967 წელს — საფრანგეთში, 1969 წელს — იტალიაში) და თავისი ოსტატობით ოთხგანვე ყველა აღაფრთოვანა: შამონიში პტი-დრიუს დასავლეთი კედლით, გრან კაპუცინზე აღმოსავლეთი კედლით და გრან-ჟორასზე ჩრდილოეთის კედლით ასვლისთვის მიხეილ ხერგიანსა და მის მეწყვილე ვიაჩესლავ ონიშჩენკოს საბჭოთა მთამსვლელთაგან ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

ხერგიანი წერდა: „ძალიან მსიამოვნებს, როცა აღფრთოვანებული უცხოელები ამბობენ, აი, როგორ დადიან საბჭოთა მთამსვლელები! აი, მათ რა შეუძლიათ, და მაშინ ვცდილობ მარშრუტი უფრო უკეთ გავიარო და თავი არ დავზოგო".

1969 წელს საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად ხერგიანი იტალიაში გაფრინდა, რათა დოლომიტების ალპებში ჩიკეტის მასივზე ასვლები მოეწყო, ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილმა სარეკორდო დროში გაიარა ჯერ ტორე-ვენეციის 300-მეტრიანი კედელი, მერე კი ბანკონის 700-მეტრიანი ბასტიონი. ბოლოს მესამე „ექვსიანზე" — სუალტოს 800-მეტრიანი ჩრდილო-დასავლეთის კედლის დაძლევა განიზრახეს. ხუთ საათში 600 მეტრი გაიარეს. მიშა ლიდერობდა. ერთ თოკში ჩაბმულნი მიდიოდნენ. ხერგიანი გადმოკიდებულ „ბუხართან" (ბუხარს მთამსვლელები ბუხრის საკვამურის მსგავს ხვრელს უწოდებენ. რედ.) გადაუხვია. მწვერვალამდე 200 მეტრიღა რჩებოდა. ამ დროს ონიშჩენკოს ხერგიანის სიმღერა შემოესმა...

მიხეილი დღიურში წერდა: „როცა მიჭირს, ჩვენებურ სიმღერას ვიწყებ. ვიხსენებ, რომ სამშობლოში ჩემს გამო განიცდიან. ვმღერი სვანურ სიმღერებს და ეს მამხნევებს, ძალას მმატებს".

...ხერგიანი „ბუხარში" აძვრა. ექვს მეტრამდე გაიარა, როცა მოულოდნელად ქვათაცვენის გრუხუნი გაისმა. ონიშჩენკომ გადმოცვენილ ქვებში მეგობრის სხეულს მოჰკრა თვალი და თოკის ძლიერი დაქაჩვისთვის მოემზადა, მაგრამ ბიძგი აღარ ყოფილა. თოკი მთლად მოეშვა. იგი ქვამ გადაჭრა. მიხეილი კლდის ძირას, თოვლზე დაინარცხა.

ორი „ვეფხვი" — თენსინგ ნორგეი და მიხეილ ხერგიანი.

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მთამსვლელის დაღუპვამ ყველას გული მოგვიკლა. მისი ცხედარი მესტიის ცენტრში დაკრძალეს, ხოლო სახლში, სადაც ხერგიანი დაიბადა, მემორიალური მუზეუმი გაიხსნა.

ისეთები, როგორიც მიხეილ ხერგიანი იყო, შეიძლება დაიღუპონ, მაგრამ ხალხის ხსოვნაში არ კვდებიან.

დიდი მიხეილის სახელი ეწოდა მწვერვალს პამირში, კლდეებს ბაიდარების ჭიშკართან ყირიმში, მარშრუტს ბულგარეთში, გრაჩინის მასივზე, სკოლებს, ახალგაზრდულ და ალპინისტურ კლუბებს, ტურისტულ-მთამსვლელურ ბაზა „სვანეთს", ლენტეხის ერთ-ერთ ქუჩას. ხერგიანის საფლავზე ძეგლი აღმართეს; დაამაგრეს მემორიალური დაფები მთამსვლელთა ბანაკ „შხელდაში" იალტაში ჯვრის კლდეებზე, სადაც ქართველ მეკლდეურს მრავალჯერ გაუმარჯვნია, სუ-ალტოს პიკის ძირას, სადაც დაიღუპა; მიხეილ ხერგიანის თასის გათამაშება იმართება მეკლდეურთა საკავშირო ჩემპიონატებში, ტარდება მიხეილ ხერგიანის საკავშირო მემორიალი, მესტიაში ყოველ ზაფხულს ეწყობა სპორტული დღესასწაული მიშაობა — „მიშას დღე"...

ამერიკის ობსერვატორიაში მცირე პლანეტების საერთაშორისო ცენტრში დაამტკიცეს ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომის ნ. ჩერნიხის მიერ აღმოჩენილი და მისივე წინადადებით დარქმეული მცირე ზომის პლანეტის სახელი „პლანეტა ხერგიანი".

მიხეილ ხერგიანზე დაიწერა მრავალი სტატია, ნარკვევი, წიგნები, ხერგიანს მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები პოეტებმა, ფერმწერებმა, მოქანდაკეებმა...

დიდი პატივი მხვდა წილად — მიშასთან მეგობრობისა და მასთან ერთად რამდენიმე მწვერვალზე ასვლისა. 1963 წელს მიშასთან და ძმებ კახიანებთან ერთად „თერთმეტთა თავშესაფარში" ავედით — ჯომოლუნგმაზე პირველამსვლელ შერპ თენსინგ ნორგეის იალბუზზე მეგზურობას ვუწევდით. მაშინ, როცა ორი „ვეფხვის" — „თოვლისა" და „კლდის" — წყნარ საუბარს ვთარგმნიდი, ერთმანეთს ვადარებდი ამ ორ დიდ მთამსვლელს. საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. არა, გარეგნულად კი არა. ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ თავიანთი ბუნებით, ხასიათით, უბრალოებით, კაცთმოყვარეობით, მოკრძალებით, კეთილშობილებით, ღირსების გრძნობით... მათ თავიანთი ხალხის ტრადიციები ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი. ერთიცა და მეორეც საოცარი პატივისცემით საუბრობდა მთებზე...

მახსოვს, მაშინ, იალბუზზე ჩვენი ასვლის წინ მიშამ ფეხებზე წრიაპები ამოიკრა და მწვერვალზე მარტო გაიპარა. იქ, ყინულზე წერაყინით ამოჭრა წარწერა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, თენსინგ!"

ექვსი წლის მერე, როცა ხერგიანი დაიღუპა, ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაურმა, ბრიტანელმა ლორდმა ჯონ ჰანტმა, რომელიც ხერგიანს კარგად იცნობდა, ვრცელი ნეკროლოგი გამოაქვეყნა მსოფლიოს უძველესი ალპინისტური კლუბის ჟურნალში (ლონდონი). ის ნეკროლოგი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „მიხეილი სულით ხორცამდე იყო არა მხოლოდ უბრალოდ ვაჟკაცი, არამედ თენსინგი — მამაკაცთა შორის".

მიხეილის სიტყვები: „მიყვარს ყველა ეროვნების ადამიანი. ყველას პატივს ვცემ, ოღონდ ეგაა, რომ კარგი იყოს. ნამდვილი ადამიანი".

მთელი თავისი ცხოვრება მიხეილ ხერგიანი დიდი შოთას სიტყვების ერთგული დარჩა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია".

ევგენი გიპენრეიტერი.

მთამსვლელთა ბანაკ „ზესხოს" ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი, მესტიის საპატიო მოქალაქე.

* * *

სპორტის უჩინარი მსახურნი

ფეხბურთელთა შემწე...

...უკვე მერამდენე წელია ბათუმის „დინამოს" სტადიონზე დღის ნებისმიერ მონაკვეთში, თუ, რა თქმა უნდა, კალენდარული მატჩი არ ტარდება, მწვანე მინდორზე ხან ჩამუხლულს, ხანაც სარწყავი მილით ხელში, ან საცელავ მანქანაზე მჯდომს, ბარითა თუ თოხით იხილავთ ხანშიტანებულ კაცს აკაკი კურტანიძეს. მან კარგად იცის მინდვრის ყოველი გოჯი, წლების მანძილზე მისხალ-მისხალ მოუვლია იგი. რამდენ სითბოს აქსოვს იგი შრომაში. ბიჭი ხარ და მინდორზე გამოდი. ზოგიერთი სპორტსმენი (აქ მძლეოსნებიც მეცადინეობენ) გასახდელისკენ გზის შემოკლების მიზნით ზოგჯერ გაბედავს და ზურგშექცეულ მინდვრის მუშას „გაეპარება" ხოლმე. მაგრამ თუ დაინახა — ვაი, მისი ბრალი. ოღონდ ეს არის, რომ ვერ დაეწევა ხოლმე. აბა, 63 წლის კაცი რას გაეჯიბრება ახალგაზრდა მორბენალს?

მართალი გითხრათ, აკაკი კურტანიძე ბათუმელი მეგონა, აქ დაბადებული და გაზრდილი.

— არა, მე ლაგოდეხში დავიბადე, — ამბობს იგი, — იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში. მისი დამთავრების შემდეგ კი მუშაობა დავიწყე ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. ეს იყო 1952 წელს.

30 წელიწადი იმუშავა მენავთობეთა კოლექტივში ფიზკულტურის მეთოდისტად აკაკი კურტანიძემ, ამ ხნის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ფიზკულტურული კოლექტივი მუდამ მოწინავე იყო, სპორტის ანბანს სწორედ ბატონმა აკაკიმ აზიარა შემდგომში ცნობილი სპორტსმენები...

— პირველად ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის არის, რომ საქმე, რომელსაც სამი ათეული წელი შევალიე, სასარგებლო გამოდგა, — გვეუბნება ა. კურტანიძე.

დამსახურებულ პენსიაზე რომ გავიდა, სხვადასხვა სამუშაო შესთავაზეს, სპორტის სფეროში, რა თქმა უნდა, მაგრამ თავად არჩია „დინამოს" სტადიონის საფეხბურთო მინდვრის მოვლა-პატრონობა.

— აქ შრომა სიხარულსა და კმაყოფილებას მანიჭებს, — ღიმილით ამბობს ბატონი აკაკი. — როცა მინდორი წესრიგშია, ამით ყველას ვეფერები — ფეხბურთელებსაც და მაყურებელსაც, მინდა ყველას ვასიამოვნო ჩემი გარჯით. მაგრამ ბათუმის „დინამოს" საფეხბურთო მინდორი უკვე დაბერდა. მარტო რემონტი აღარ ყოფნის, დრენაჟი აღარ ვარგა და თუ ბათუმურმა წვიმამ სამ დღეზე მეტ ხანს იმძლავრა, უკვე წყალი დგება, მიწაც გამოიფიტა... ერთი სიტყვით, ორი წლით მაინც უნდა დაიხუროს მინდორი და საფუძვლიანად შეკეთდეს.

შემდეგ დაუმატა:

— ჩვენს ფეხბურთელებს თავიანთი ბაზა არა აქვთ, სადაც სრულფასოვნად იმეცადინებენ. არა და, სავარჯიშოდ ვერც „დინამოს" მინდორს უთმობენ, ვინაიდან შემდეგ იგი კალენდარული მატჩებისთვის აღარ ივარგებს. მენავთობეთა სათამაშო მინდორიც, ახლად რომ გაკეთდა, მოუვლელობით მალე გამოვა მწყობრიდან. ბაზა ესაჭიროება ჩვენს ბიჭებს, ბაზა!

თქვა ეს და შებრუნდა, მინდვრის შუაგულისკენ გასწია.

წავიდა. ხელი დაავლო იქვე მდგარ ბელტებიან ურიკას და შეუდგა თავის ჩვეულ საქმეს.

ლევან ქავთარაძე.

* * *

ქართული პრესა წერდა...

მუშტი — აი, ჩემი იარაღი!

„შესანიშნავი მოკრივე — ქალაქის მოურავის კანდიდატათ. მთელ ქვეყანაზედ განთქმული მოკრივე ჯონ სიულლივანი ამ ხანად გამოდის ბოსტონის (ამერიკაში) ქალაქის თავის (მერის) კანდიდატებში. საუცხოო გამგეობას ჰპირდება სიულლივანი ამ ქალაქს, რომელიც თავის პატრონად ამოირჩევს: „ჩემს მოურაობაში უეჭველად მოეღება ბოლო მექრთამეობას, სიულლივანს ვერავინ მოისყიდის და ვინც-კი გაიფიქრებს ქრთამით საქმის გაკეთებას, იმან ჯერ ადგილი უნდა მოიმზადოს საავადმყოფოში დასაწოლადო. უმთავრეს ყურადღებას ქალაქის მმართვაში მე მივაქცევ ბავშვების აღზრდას, დავუარსებ სათამაშო მოედნებს და კლუბებს. ახლა ქალაქები ბევრს ფულსა ხარჯავენ დიდების გასართობების მოწყობაზედ და ბავშვები კი სრულიად დავიწყებული ჰყავთო. თუ გინდათ ქურდების რიცხვი შემცირდეს, — მოუარეთ ღარიბების ბავშვებს, მხოლოდ უპატრონეთ ისე, რომ მათ ახსოვდეთ — პატრონები გვყვანანო. ვინც-კი ბავშვებს დაუშლის ბურთის თამაშობას, ის მშვენივრად გამოსცდის, რა ძალა აქვთ ჩემს მუშტებს. მე სამართლიანად მოვეკიდები ღარიბებს, მაგრამ ქურდების დაუძინებელი მტერი ვიქნები. ყველაფერს აშკარად და საჯაროდ გავაკეთებ. მუშტი — აი, რა იქნება ჩემი იარაღი ყოველ საქმეში!!."

„ცნობის ფურცელი", 1897 წ. 18 სექტემბერი.

„1898 წლისათვის, ნიუ-იორკში დანიშნულია კრება (კონგრესი) ველოსიპედით მოსიარულეთა. შესანიშნავმა მოსიარულემ ასტორმა დანიშნა ჯილდოდ 64,400 მანათი, იმისათვის, ვინც მთელ ქვეყანაზე პირველი მოსიარულე იქნება ველოსიპედით".

„ცნობის ფურცელი", 1897 წ. 25 აგვისტო.

„საფრანგეთში მთავრობამ 1887 წ. 1 იანვარში ბაჟი დაადო 329.816 ველოსიპედს, 1895 წელს—256,084-ს და 1894 წელს კი მხოლოდ 203,026 ველოსიპედს. ველოსიპედებს საფრანგეთისათვის 27233 ფრანკი შეუტანია. მარტო სენის დეპარტამენტში პარიჟში 12,895 ველოსიპედი ითვლება.

„ცნობის ფურცელი". 1897 წ. 4 სექტემბერი.

შეკრიბა

სულიკო ნუცუბიძემ

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" 1:3 (1:0). გოლები: დობროვოლსკი („დინამო"), ბარანაუსკასი, ივანაუსკასი-2 („ჟალგირისი").

გააფრთხილეს ტაუტკუსი, პანკრატიევი, ფრიდრიკასი („ჟალგირისი"), საბიტოვი („დინამო").

დუბლიორები — 1:0.

„პამირი" — „დინამო" (მინსკი) 1:2 (0:2). გოლები: როდნენკო, გერასიმეცი („დინამო"), ზაზდრავნიხი („პამირი"). დუშანბელმა მუხამედიევმა 81-ე წუთზე ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

გააფრთხილეს რასიხინი („დინამო").

დუბლიორები — 0:1.

„როტორი" — „შახტიორი" 2:1 (2:0). გოლები: კალიტვინცევი, ხომუტეცკი („როტორი"), გრაჩოვი („შახტიორი").

გააფრთხილეს კალიტვინცევი და კუზნეცოვი („როტორი").

დუბლიორები — 2:4.

„მეტალისტი" — „სპარტაკი" 3:3 (0:2). გოლები: შალიმოვი, როდიონოვი, პასულკო („სპარტაკი"), სუსლო, აჯოევი, ბარანოვი („მეტალისტი").

დუბლიორები — 1:4.

„ჩერნომორეცი" — „ლოკომოტივი" 1:0 (0:0). გოლი: ტრეტიაკი („ჩერნომორეცი").

დუბლიორები — 1:2.

„დნეპრი" — „დინამო" (კიევი) 2:1 (2:0). გოლები: ტიშჩენკო, იუდინი („დნეპრი"), ბესონოვი („დინამო").

გააფრთხილეს ტიშჩენკო („დნეპრი").

დუბლიორები — 1:1.

„ტორპედო" — „არარატი" 2:0 (1:0). გოლები: გრიშინი, გრეჩნევი („ტორპედო").

დუბლიორები — 1:1.

* * *

ლენინგრადის „ზენიტისა" და თბილისის „დინამოს" მატჩში გააფრთხილეს ვორობიოვი („ზენიტი") და კაჭარავა („დინამო") და არა გოგიჩაიშვილი.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 18 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მოსკოვი)	17	11	5	1	36-11	27
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	17	10	4	3	20-12	24
„ტორპედო" (მოსკოვი)	17	8	7	2	20-9	23
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	18	9	3	6	25-19	21
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	17	7	6	4	20-18	20
„დინამო" (კიევი)	16	7	5	4	19-12	19
„მეტალისტი" (ხარკოვი)	17	7	5	5	20-17	19
„დინამო" (მინსკი)	18	7	4	7	19-18	18
„დინამო" (მოსკოვი)	17	5	6	6	24-20	16
„როტორი" (ვოლგოგრადი)	17	5	5	7	15-18	15
„დინამო" (თბილისი)	17	4	7	6	15-16	15
„შახტიორი" (დონეცკი)	17	5	3	9	12-18	13
„არარატი" (ერევანი)	17	5	3	9	18-25	13
„პამირი" (დუშანბე)	17	3	6	8	12-25	12
„ზენიტი" (ლენინგრადი)	18	3	5	10	11-29	11
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	17	2	4	11	8-22	8



I ლიგა

11 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXI ტურის შეხვედრები.

„გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბათუმი) 3:0 (2:0)

ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 11 ივლისი.

„გურია": აბუსერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ჟორდანია (უგრელიძე), დოზმოროვი (კაციტაძე), კორძალიძე, ფრიდონაშვილი (თევზაძე), გურული.

„დინამო": ბალაძე, მაისურაძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ჯოხაძე, მ. მახარაძე, კაკილაშვილი, ბიგვავა, მაჭუტაძე, ათუაშვილი.

მსაჯი ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი). გააფრთხილეს ბიგვავა, მაისურაძე, მინდვრიდან გააძევეს კიკლიაშვილი.

ლანჩხუთელ და ბათუმელ ფეხბურთელთა შეხვედრებისადმი სპორტის მოყვარულები მუდამ გაძლიერებულ ინტერესს იჩენენ. ასე იყო ამჯერადაც. თამაშს მრავალი მაყურებელი დაესწრო.

თანაბარი ბრძოლის შემდეგ უპირატესობა თანდათან მასპინძელმა ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს. 38-ე წუთზე ჟორდანია-გურულიდოზმოროვის კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლით დამთავრდა, სამიოდე წუთის შემდეგ კი დინამოელმა მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე წააქციეს გურული და ჟორდანიამ ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი —2:0.

მატჩის დასასრულს მასპინძლებმა კიდევ ერთხელ იმარჯვეს და უგრელიძემ მესამედ აილო მეტოქის კარი. ამის შემდეგ ბათუმელ ფეხბურთელებს ჯოხაძეს და ბიგვავას შესაძლებლობა მიეცათ საპასუხო ბურთი გაეტანათ, მაგრამ მათი დარტყმები უზუსტო აღმოჩნდა.

საყვედურის ღირსია დინამოელი კიკლიაშვილი, რომელმაც უხეშად ითამაშა დოზმოროვის წინააღმდეგ, რის გამოც იგი მინდვრიდან გააძევეს.

ავთანდილ ორმოცაძე.
(ტელეფონით „ლელოს" კორ.).

განვლილ ტურში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მარცხი იწვნიეს რიგაში „დაუგავასთან" შეხვედრაში. რიგელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

აღსანიშნავია, რომ წააგეს გათამაშების ლიდერებმა — ცსკა-მ და „ნისტრუმ". არმიელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი განიცადეს ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" შეხვედრაში — 1:3, „ნისტრუ" კი სიმფეროპოლში დამარცხდა „ტავრიასთან" — 1:3.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „გეოლოგი" (ტიუმენი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 0:4, „დინამო" (სტავროპოლი)— „ყუბანი" (კრასნოდარი) 3:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 4:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:1, „კუზბასი" (კემეროვო) — ასკ (დონის როსტოვი) 0:0, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.წ.		ბ.	ქ.
ცსკა	20	14	3	3	52-14	31
„კაირატი"	20	12	4	4	39-16	28
„გურია"	19	10	5	4	30-15	25
„ფაკელი"	20	10	5	5	25-14	25
„დინამო" სტ.	20	8	9	3	28-21	25
„ნისტრუ"	21	11	1	9	22-27	23
„ფახთაქორი"	20	9	5	6	25-11	23
„ნეფთჩი"	20	8	6	6	21-19	22
„გეოლოგი"	19	10	1	8	21-20	21
„როსტსელმ."	20	6	9	5	21-19	21
„მეტალურგი"	20	8	4	8	28-22	20
„ტავრია"	20	8	4	8	31-32	20
„ტორპედო"	19	8	3	8	30-29	19
„კოტაიკი"	20	7	5	8	22-16	19
„სპარტაკი"	20	7	5	8	23-27	19
„შინიკი"	20	6	7	7	22-34	19
„დინამო" ბ.	20	7	4	9	17-33	18
„ყუბანი"	20	6	4	10	19-36	16
„კუზბასი"	20	4	7	9	10-21	15
ასკ რ.	20	4	4	12	27-37	12
ასკ „კარპ."	20	2	5	13	17-41	9
„დაუგავა"	20	2	4	14	11-37	8

გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?"

საკავშირო აუცილებელია!

ამ წერილის დაწერა მას შემდეგ გადავწყვიტე, როცა თქვენს გაზეთში წავიკითხე სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის მკვიდრის ნინო ბასილაშვილის წერილი „ნურც თვითკრიტიკას დავივიწყებთ"+.

მთელი სერიოზულობით უნდა ვაღიარო, რომ პატივცემულმა ნინომ გამოხატა ზუსტად ის აზრი, რასაც მე ვფიქრობდი. უცილობლად საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ჩატარება და არა ეროვნული ჩემპიონატით შემოსაზღვრა. ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატებში, მაშინ ქართული ფეხბურთის დონე უფრო დაეცემა და შემდეგ ამ ჩვენს დანაშაულს მომავალი თაობა არ გვაპატიებს.

ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, თუ როგორ ტარდება ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატი. მიკერძოებულია მსაჯობა, მილიცია რის ვაივაგლახით ამყარებს წესრიგს.

საკავშირო ჩემპიონატი აუცილებელია იმიტომაც, რომ სხვა მოწინავე გუნდებისაგან ვიღებთ ბევრ კარგს. მათთან ჭიდილში, იმედია, მივაღწევთ უკეთეს შედეგს.

დამერწმუნეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან ჩვენ ვერ გავალთ საერთაშორისო ასპარეზზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო არ არის უეფა-ს წევრი და რომ გახდეს, ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

ზოგიერთი ვაიპატრიოტი ფიქრობს, რომ ეროვნული ჩემპიონატის შემოღებით ქართული ფეხბურთის დონე აიწევს. მაგრამ პირადად მე სავსებით ვეთანხმები ქალბატონ ნინოს, როცა იგი აღნიშნავს: „საქართველოს ჩემპიონატი, როგორი წარმომადგენლობითიც არ უნდა იყოს, ვერასდროს გაუტოლდება თავისი დაძაბულობით, ბრძოლის სიმწვავითა და კონკურენციით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს". ნაცვლად ცრუპატრიოტობისა, აჯობებდა, რომ სპეციალისტებს, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა თუ რაიონში მომუშავე მწვრთნელებს თბილისის „დინამოსათვის" მოემზადებინათ პერსპექტიული მოთამაშეები და ეზრუნათ იმაზეც, რომ რესპუბლიკას თუნდაც ორი გუნდი მაინც ჰყავდეს უმაღლეს ლიგაში. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მთავარი გუნდი ჩვენთვის არის თბილისის „დინამო" და შუღლის გამო ისე არ უნდა მოხდეს, რომ მისთვის ვინმეს დაენანოს პერსპექტიული ფეხბურთელის მიცემა.

ერთი რამ ძალიან მიკვირს: გვყავს უამრავი ნიჭიერი ბავშვთა გუნდი, რომლებიც რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებზე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი, რომ იტყვიან, უგზო-უკვლოდ იკარგებიან. რატომ არ უნდა ვამზადებდეთ მათ თბილისის „დინამოსთვის". ამისათვის მწვრთნელთა მხრიდან მეტი გულმოდგინება და პატრიოტიზმია საჭირო და არა ერთმანეთში გაუთავებელი დავა იმის თაობაზე, თუ ვინ აღზარდა ესა თუ ის მოთამაშე. ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები რომ კიდევ უფრო დაოსტატდნენ, თუნდაც ამისთვისაცაა საჭირო საკავშირო ჩემპიონატებში მათი მონაწილეობა.

ლილი მაისურაძე,
ჟურნალისტი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს!

მართალი გითხრათ, არ ვაპირებდი კინორეჟისორ ა. ელენტის წერილის („საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი?") გარშემო კამათში ჩაბმას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბატონ ალექსანდრეს სპორტის ეროვნულ პრობლემებში კომპეტენცია კომენტარს არ საჭიროებს და საკითხი დროულადაა დასმული, მეორეც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სპორტის ორგანიზებაში პარალელურად მიმდინარე და ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული თვითგამორკვევის პროცესების გათვალისწინებით სავარაუდო იყო, რომ ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებდა. მაგრამ „ლელოს" ფურცლებზე ბოლო პერიოდის პუბლიკაციებმა (განსაკუთრებით ნ. ბასილაშვილის დიდი მოცულობის წერილმა „ნურც თვითკრიტიკას დავივიწყებთ...") დამარწმუნა, რომ გაჩუმება არ შეიძლება.

ბოლო პერიოდში „ლელოს" ფურცლებზე რამდენჯერმე გამოითქვა აზრი, რომ ამ პრობლემის სათავე დღეს ქართული ფეხბურთის კრიზისში უნდა ვეძიოთ. მიმაჩნია, რომ ასე არ არის საქმე. თბილისის „დინამოს" ახალგაზრდული გუნდის პოტენცია გვაიმედებს მის ხვალინდელ დღეზე, I ლიგაში საქართველო სამი გუნდითაა წარმოდგენილი და არაა გამორიცხული, რომ იგივე ლანჩხუთის „გურიამ" კარგი თამაშითა და ქუთაისის „ტორპედოსა" და ბათუმის „დინამოს" ძმური მხარდაჭერით, მომავალში უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. ქართული ფეხბურთის კრიზისის გამო საკითხის დაყენების შესახებ პრიმიტიული აზრი მხედველობაში მისაღები არაა. თუნდაც მორაგბეთა მაგალითი გაიხსენეთ. სწორედ დღეს, როცა ქართული რაგბი აყვავების პროცესშია, დადგა ქართული ეროვნული გუნდის შექმნისა და მისი დამოუკიდებლად არსებობის საკითხი. ვითვალისწინებ რა ქართველ მორაგბეთა სწორ ეროვნულ პოზიციებს, ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ისინი წამოწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. ერთი სიტყვით, სპორტში ეროვნულ სუვერენიტეტთან დაკავშირებულ საკითხს ნუ მოვაქცევთ მხოლოდ სპორტის ჩარჩოებში. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობა არა თუ ზიანს აყენებს, არამედ, პირიქით ხელს უწყობს ეროვნული ფეხბურთის პროგრესს". — მითუმეტეს მისასალმებელი უნდა იყოს ევროპის თასების გათამაშებებში არა ერთი, არამედ რამდენიმე ქართული გუნდის მონაწილეობა. თუკი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უშუალოდ გახდა უეფა-ს წევრი, ამით ხომ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე მონაწილეობის შანსი გაუჩნდება.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თურმე „საქართველოს ჩემპიონატი... ვერასდროს გაუტოლდება თავისი დაძაბულობით, ბრძოლის სიმწვავითა და კონკურენციით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს" — ამის წამკითხველს გულწრფელად შემეცოდა არგენტინის, ბრაზილიისა და იტალიის გუნდები და მაყურებელი თავიანთ ჩემპიონატებში რომ ჩაკეტილან და საბჭოთა ჩემპიონატში ვერ მონაწილეობენ. ნუთუ მართლა ფიქრობს ამ ციტატის ავტორი, რომ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი (თუკი ის ისე ჩატარდა, როგორც ბატონი ა. ელენტი გვთავაზობს) საბჭოთა ჩემპიონატზე ნაკლებ ემოციური იქნება?

— ავიმაღლებთ თუ არა საქართველოს ჩემპიონატში სათამაშო კლასს? როცა შევძელი ამ კითხვისთვის ირონიით შემეხედა, მივხვდი ბრაზილიური ფეხბურთის კრიზისის მიზეზს, მათ სწორედ ვოლგოგრადის „როტორთან" და ხარკოვის „მეტალისტთან" სათამაშო პრაქტიკა აკლიათ.

ქართული ფეხბურთის კლასის ამაღლებაში დაგვეხმარება ისიც, თუ ქართულ გუნდებში სხვა ქვეყნების მოწინავე კლუბებიდან 2-3 ფეხბურთელის მოწვევას (საჭიროების შემთხვევაში) პრაქტიკაში დავნერგავთ (იმედია, მომავალში გუნდებს ექნებათ შესაბამისი სახსრები). დღეს სწორედ ამის მაგალითია ლანჩხუთის „გურია". არაა გამორიცხული, რომ როგორც კი ამის შესაძლებლობა შეიქმნება, ეს გუნდი იმ 2-3 კაცს სულ სხვა რეგიონში მოძებნის.

რაც შეეხება იმას, რამდენად ობიექტურად ტარდება „რუსეთის ღია ჩემპიონატი", ამაზე მართლაც ბევრის თქმა შეიძლება, ყველა ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა იცის, რა „გაწონასწორებულიც არის" თბილისის „დინამოს" თამაშებზე მსაჯთა შეცდომების პინა, ან იქნებ 1961 წლამდე საფეხბურთო ოლიმპზე მოსკოვის გუნდების „ჰეგემონობა" შეგახსენოთ?

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, საქართველოს სპორტული სუვერენიტეტის მოპოვების პროცესის იტერაციული (ეტაპობრივი) ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ქართული გუნდები ჯერჯერობით მაინც უნდა მონაწილეობდნენ სსრკ ჩემპიონატში. ამასთანავე, მათგან ამ ჩემპიონატში უმაღლეს საფეხურზე მყოფი უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ევროპის ჩემპიონთა თასზე, მეორე ქართული გუნდი — თასის მფლობელთა თასზე და ა. შ. დამოუკიდებლად უნდა მონაწილეობდეს ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე ეროვნული ნაკრებიც. სასურველი იქნება, საკავშირო ფედერაციის თასის გათამაშების პერიოდში (რომელშიც მონაწილეობა ალბათ სრული აბსურდია) თუ შევძლებთ მისი მსგავსი საქართველოს თასის გათამაშებას (ყველა უძლიერესის მონაწილეობით). სუვერენიტეტის გაფართოებასთან ერთად დამოუკიდებელ ეროვნულ ჩემპიონატზე უნდა ვიფიქროთ. ამ საქმეში, ქართველი რაგბისტებივით, დროა კონკრეტული ნაბიჯები გადადგან ქართული ფეხბურთის მესვეურებმაც.

ალიკო ცინცაძე,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

ეხმარებიან „ჰოლმსუნდს"

„ლელოს" მკითხველებს, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს ძალზე აინტერესებთ, სად არიან და რას აკეთებენ ამჟამად თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშეები რამაზ შენგელია და თენგიზ სულაქველიძე.

როგორც ცნობილი გახდა, საგარეო სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსში" შვეციის ქალაქ უმეოდან საფეხბურთო კლუბ იფკ „ჰოლმსუნდი"-ს ხელმძღვანელობის სახელით მოვიდა ტელექსი, რომელშიც თხოვნა იყო განხილულიყო ამ კლუბში რამაზ შენგელიასა და თენგიზ სულაქველიძის მივლინების შესაძლებლობის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლუბი შვეციის ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობს.

მაისში „ჰოლმსუნდის" წარმომადგენლები და „საქიმპექსის" გენერალური დირექტორი დ. ვერულეიშვილი, რომელიც თბილისის „დინამოს" სახელით მოქმედებდა, მოსკოვში შეხვდნენ ერთმანეთს და ხელშეკრულება დადეს სპორტული გაცვლის დარგში სხვადასხვა კომერციულ და არაკომერციულ ღონისძიებათა ორგანიზაციაში ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე. სწორედ ამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა რ. შენგელიასა და თ. სულაქველიძის მივლინება შვეციაში მოთამაშე-კონსულტანტებად. ქართველი ფეხბურთელები ოქტომბრის ბოლომდე ითამაშებენ „ჰოლმსუნდში".

ამ ფეხბურთელების ჩასვლამ შვეციაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მათ არც გაუწბილებიათ მოლოდინი. პირველი რვა ტურის შემდეგ „ჰოლმსუნდი" ერთადერთი ქულით სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე იმყოფებოდა, შემდგომ 3 მატჩში კი კლუბმა ორი მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა. პრესისა და სპეციალისტების აზრით, მინდორზე საუკეთესონი სწორედ ქართველი ფეხბურთელები იყვნენ.

დაბოლოს, ჩვენს თანამემამულეებს მასპინძლებმა ძალზე კარგი პირობები შეუქმნეს, აგვისტოს დასაწყისში კი შვეციაში გაემგზავრებიან მათი ოჯახები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ჩემპიონატის წინ

საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზა, რომელიც რუსთავის გზაზე მდებარეობს, სისხლსავსე სპორტული რიტმით ცხოვრობს. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას აქ ტარდება სხვადასხვა რანგისა და მნიშვნელობის შეჯიბრებები სპორტულ-ტექნიკურ სახეობებში. სწორედ ამ ბაზაზე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი და რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მოტომრავალჭიდში. ამ პირად-გუნდურ ასპარეზობაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: თბილისის პირველი სპორტულ-ტექნიკური კლუბი, ქუთაისი, რუსთავი და გალი.

ტრადიციულად, მოტომრავალჭიდიდან — ცურვა, სირბილი, მოტოციკლების ფიგურული ტარება, მოტოკროსი და სროლა. ამჯერად სროლა ამოღებული იყო, მაგრამ ამას არ გაუნელებია ბრძოლის სიმწვავე.

საბოლოოდ, გუნდურ ასპარეზობაში პირველი ადგილი თბილისის გუნდმა დაიკავა, მეორე — ქუთაისმა, მესამე კი — რუსთავმა. პირად პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ჭაბუკები — 1. ალექსანდრე ზურგაშვილი; 2. ადამ ლისოტა (ორივე — თბილისი); 3. ედუარდ ლესკო (რუსთავი).

ვაჟები — 1. ლევან შალიბაშვილი (თბილისი); 2. გენადი მირონოვი (ქუთაისი); 3. ვლადიმერ ბულკაშვილი (თბილისი).

ამ შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც აგვისტოში მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდულ თამაშებში და პირველ საკავშირო ჩემპიონატში. საქართველოს ნაკრების სახელით გამოვლენ: ალექსანდრე ზურგაშვილი, ადამ ლისოტა, ლევან შალიბაშვილი, სერგეი გორინი და ზაზა თოდრაძე. გუნდის უფროსი მწვრთნელი თენგიზ შალიბაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ნაკრები წარმატებით გამოვა საკავშირო ასპარეზობაში.

მაინც მანჩესტერი

ლონდონი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მანჩესტერს შეუძლია გაიმარჯვოს 1996 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორ ქალაქთა კონკურსში.

ათვალიერებდა რა ამ ქალაქის სპორტულ ბაზებს პრეზიდენტმა განაცხადა:

—არ არის გამორიცხული, რომ ოლიმპიური თამაშები ბრიტანეთის კუნძულებს დაუბრუნდეს. ამ ქალაქის შესაძლებლობებს რომ ვაფასებ, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები—მანჩესტერი ღირსეული კანდიდატი იქნება!

როგორც ცნობილია, ინგლისში ოლიმპიადა 1948 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. მანჩესტერს გამოუჩნდა ძლიერი კონკურენტები, როგორებიც არიან ათენი, ტორონტო, მელბურნი, ბელგრადი და ატლანტა.

ჟურნალისტები არამც და არამც არ გამორიცხავენ ათენის კანდიდატურის მნიშვნელობას, ვინაიდან 1996 წელს აღინიშნება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩატარების 100 წლისთავი. მაგრამ სამარანჩი აცხადებს, რომ ეს გარემოება გადამწყვეტ მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს, თუ ათენი სხვა კანდიდატურებზე უკეთეს არგუმენტებს წამოაყენებს.

ლამანშზე ბატერფლაით

პარიზი. 28 წლის კანადელი მოცურავე ვიკი კეიტი მსოფლიოში პირველი სპორტსმენია, რომელმაც ლა-მანშის სრუტე ბატერფლაის სტილით გადაცურა.

მან სტარტი დუვრში (ინგლისი) აიღო გასულ ორშაბათს, საღამოს 6 საათსა და 37 წუთზე, საფრანგეთის მიწაზე კი ფეხი დადგა მეორე დღეს, სამშაბათს, 16 საათსა და 36 წუთზე. ამ ხნის განმავლობაში სპეციალური ნავის თანხლებით მან 27 კილომეტრი დაფარა.

პირველი სიურპრიზი

დასავლეთ ბერლინი. აქ დაიწყო მსოფლიო თასის გათამაშება წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობენ სეულის ოლიმპიურ თამაშებში პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები.

სასტარტო ტურში ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოულოდნელი მარცხი განიცადა. დაძაბული ბრძოლა ესპანეთის ნაკრებთან ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა 10:9 (3:2, 2:1, 4:3, 1:3). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ცხრა ახალი წყალბურთელი თამაშობდა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა იუგოსლავიის ნაკრებმა სძლია ავსტრალიის გუნდს — 15:7, უნგრეთმა მოუგო გფრ-ს 9:6, აშშ-მ იტალიას — 8:7.

•◆•◆•

ლიდერი შეიცვალა

პარიზი. „ტურ დე ფრანსის“ მეათე ეტაპი ინგლისელმა ველოსიპედისტმა რობერტ მილარმა მოიგო. 136-კილომეტრიანი დისტანცია მან 4 საათსა, 22 წუთსა და 19 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გასულ ესპანელ პედრო დელგადოსაც იგივე დრო ჰქონდა.

შეიცვალა რბოლის ლიდერი. ამერიკელ გრეგ ლემონდს ყვითელი მაისური ფრანგმა ლორენ ფინიონმა ჩამოართვა. მისი შედეგი 10 ეტაპის ჯამში 16 საათი, 11 წუთი და 49 წამია, ლემონდი მას 7 წამით ჩამორჩება, მესამე ადგილზე მყოფი ფრანგი შარლ მოტეკი 50 წამით.

•◆•◆•

დიდი პრემიები — მარათონელებს

აშშ-ის მძლეოსნურმა ორგანიზაციებმა მკვეთრად გაზარდეს პრემიები, რომლითაც მარათონული რბენის მონაწილეებს აჯილდოებენ. მაგალითად, გამოცხადებულია, რომ ლოს-ანჯელესისა და ნიუ-იორკის ტრადიციულ მარათონულ რბენაში გამარჯვებულები მიიღებენ 300-300 ათას დოლარს.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

მაიკლ ჯორდანი

ამერიკის პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავთა შორის ლარი ბიორდისა და „მეჯიკ“ ჯონსონის შემდეგ ყველაზე უფრო ხშირად მაიკლ ჯორდანის სახელს გაიგონებთ. „ჩიკაგო ბულსის“ მწვრთნელს დუგ კოლინზს მიაჩნია — „ღმერთმა კალათბურთის საუკეთესო მოთამაშე რომ შექმნა, მას მაიკლ ჯორდანი დაარქვა“. მისი აზრით, უმაიკლოდ ვერ მოიპოვებდნენ ქულების ნახევარსაც კი, რასაც ჯორდანთან ერთად აგროვებენ.

— კარგად მესმის იმ სპეციალისტებისა, — განაცხადა მწვრთნელმა, — რომლებიც პროფესიული კალათბურთის საუკეთესო მოთამაშედ ბიორდს ან ჯონსონს ასახელებენ და მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიე, გამოვყო მაიკლ ჯორდანი. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და იგი ოფიციალურად იქნება აღიარებული პროფესიულ ასოციაციაში საუკეთესოდ. კოლინზის ეს ვარაუდი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ამერიკელმა მიმომხილველებმა 1988 წ. ნბა-ს ჩემპიონატის უძლიერესად აღიარეს „ჩიკაგო ბულსის“ თავდამსხმელი მაიკლ ჯორდანი (129 ხმა).

ჯორდანი, როგორც სუპერვარსკვლავი სრული ძალით უკვე სტუდენტურ კალათბურთში წარმოჩნდა. იგი ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას იცავდა და 1982 წელს გახდა ამერიკის ჩემპიონი სტუდენტებს შორის. გუნდის ამ წარმატებაში მაიკლ ჯორდანს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის და იგი გუნდის სული და გული იყო. ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ ბობი ნაითმა 1984 წელს მაიკლი ოლიმპიურ ნაკრებში მიიწვია. ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე მან საუცხოოდ ითამაშა. ხავსებით კანონზომიერია, რომ 1984 წელს ავტორიტეტულმა საკალათბურთო ორგანომ „ინტერნეიშნლ ბასკეტმა“ ჯორდანი სამოყვარულო კალათბურთში საუკეთესო მოთამაშედ ცნო. ამის შემდეგ მისთვის პროფესიული კალათბურთის კარი ღია იყო.

1987 წლის სეზონი ერთ-ერთი საუკეთესოა მის სპორტულ ბიოგრაფიაში. აღსანიშნავია, რომ ჯორდანი მაშინ გახდა ნბა-ს პირველი კალათბურთელი ულტ ჩემბერლენის შემდეგ, როდესაც შეძლო ერთ სეზონაში 3000-ზე მეტი ქულის მოგროვება.

მაიკლ ჯორდანზე უცხოურ პრესაში ძალიან ბევრი იწერება. ერთ-ერთი მათგანია მარკ ვენცელის წერილი, რომელიც დაისტამბა ამერიკულ ჟურნალ „ჰიუჰში“: 1986-1987 წლების სეზონში ჯორდანმა რვა მატჩში გადააჭარბა 50-50 ქულიან ზღვარს. დეტროიტში მან განსაცვიფრებლად ითამაშა, შეხვედრის ყველაზე დაძაბულ, მეოთხე პერიოდში ჩიკაგოელთა მიერ მოპოვებული პირველი 26 ქულიდან 24 მის ანგარიშზე მოდის: ორთაბრძოლის დამთავრებამდე 20 წამზე ნაკლები იყო დარჩენილი და „პისტონსის“ სამი მოთამაშე უღობავდა გზას ფარისკენ და მან მაინც მოახერხა ზუსტი სამქულიანი სროლა. „ბულსს“ მოგების შანსი გაუჩინა, დეტროიტმა წუთშესვენება აიღო. — მოდით, დენთლი მე მომანდეთ, — მითხრა მაიკლმა წუთშესვენებაზე, — თქვა მატჩის შემდეგ კოლინზმა, — ახლა მისი აყვანაა საჭირო.... თამაში განახლდა. შვიდი წამის განმავლობაში თომასი დრიბლინგით დაჰქროდა ჩიკაგოელთა ფარის მისადგომებთან და დენთლისათვის გადაცემის მომენტს ელოდა, მაგრამ ამაოდ.. ჩიკაგოელებმა გაიმარჯვეს. ჯორდანმა 61 ქულა გააკეთა. „მსგავსი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს“, — განაცხადა მატჩის შემდეგ დეტროიტელთა მწვრთნელმა ჩაკ დელიმ. ნიუ-იორკში ერთ-ერთი სეზონის გახსნის მატჩზე მოგებულ თამაშში ჯორდანმა 50 ქულა გააკეთა. აქედან 17 მეოთხე პერიოდში და იმ მატჩიდან მოყოლებული აღარ გაჩერებულა, სულ ამ დონეზე ატარებს შეხვედრებს.

...ჯორდანს სეზონის განმავლობაში მატჩი არ გამოუტოვებია და თითოეულ მათგანში საშუალოდ 40 წუთზე მეტი დაჰყო მოედანზე მიუხედავად ორმაგი და სამმაგი დატვირთვისა. მას ჰქონდა კუნთის დაჭიმულობაც, მუხლის ტრავმაც, ინფექციაც, გაციებაც, 38 გრადუსი ტემპერატურითაც უთამაშია, მაგრამ ყველაფერს ვაჟკაცურად გაუძლო. ზოგჯერ ჟურნალისტები ჯორდანს დაცვაში სუსტ თამაშს საყვედურობენ. სულ სხვაგვარად ფიქრობს მწვრთნელი დუგ კოლინზი...

1987-88 წლის ნბა-ს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად სწორედ მაიკლ ჯორდანი მოგვევლინა — 82 მატჩი, 2868 ქულა.

მერაბ კალანდაძე,
ავთანდილ მაღრაძე.

ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი

ნიუ-იორკი. კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელმა დატოვა პოსტი და ადგილი ახალ მწვრთნელს დაუთმო. ასეთ საგანგებო ზომებს კლუბები იმ შემთხვევაში მიმართავენ, როცა სეზონის შედეგებით უკმაყოფილონი არიან და კალათბურთელებისგან მეტს მოითხოვენ.

სეზონის დამთავრების შემდეგ ნბა-ს ლიგის ორ კლუბში „ნიუ-იორკ ნიკსა“ და „ჩიკაგო ბულზში“ მწვრთნელთა პოსტები ვაკანტური აღმოჩნდა. მრავალრიცხოვანი კონსულტაციების შედეგად კლუბების ხელმძღვანელებმა მწვრთნელებად მოიწვიეს ჯექსონები—სტიუარტი და ფილი (ისინი მხოლოდ მოგვარეები არიან). სტიუარტ ჯექსონი ახალი სეზონიდან ნიუ-იორკის გუნდს უხელმძღვანელებს, ფილ ჯექსონი კი ჩიკაგოს კლუბს. აღსანიშნავია, რომ 33 წლის სტიუარტ ჯექსონი ნბა-ს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი იქნება.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სპორტსახკომი აცხადებს კონკურსს

სპორტსახკომის სპორტულ მეთოდურ სამმართველოს უფროსი მწვრთნელის ვაკანტურ თანამდებობაზე სპორტულ რეზერვებში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება სპორტსახკომის თავმჯდომარის სახელზე და სათანადო საბუთები სპორტსახკომში უნდა წარადგინონ ორი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ცნობებისათვის მიმართეთ: ტელეფონით 23-05-20; 23-50-09.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი №2)

14 და 17 ივლისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასი. მეთექვსმეტედფინალი

„დინამო“ (თბილისი) — „ნოვბახორი“ (ნამანგანი)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩებზე დასასწრები ბილეთებს გაიყიდება სტადიონის სალაროებში 14 ივლისისთვის—13 და 14 ივლისს, 17 ივლისისთვის—16 და 17 ივლისს, დილის 10 საათიდან, საღამოს 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე). 14 და 17 ივლისს 17 საათიდან ბილეთები გაიყიდება სტადიონზე ა. წერეთლის გამზირის მხრიდან.

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა 27-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 2 ივლისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1325178 ვარიანტი.

ექვსი ნომერი არავის გამოუცვნია, ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (26) მოგება 1628 მანეთია, ოთხისთვის (1745) — 34 მანეთი, სამისთვის (32368) — 3 მანეთი.

საქართველოში: 6—0, 5—0, 4—25.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 13975363 ვარიანტი.

ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (6), მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2083) — 326 მანეთი, სამისთვის (96826) — 14 მანეთი.

საქართველოში: 5—2 (თბილისი), 4—75, 3 — 3143.

„სპორტპროგნოზი“, 30-ე ტირაჟის პროგრამა (21-23 ივლისი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	21.VII	20	70	10
2. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	21.VII	30	60	10
3. „დინამო“ (კიევი) — „პამირი“ (დუშანბე)	21.VII	80	10	10
4. „შახტიორი“ (დონეცკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)	21.VII	70	20	10
5. „არარატი“ (ერევანი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	21.VII	70	20	10
6. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	21.VII	30	40	30
7. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	22.VII	80	10	10
გადასახვლელი ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის (პირველი თამაშები)				
8. „იმპულსი“ (კრასნოდარი) — „შახტიორი“ (დონეცკი)	22.VII	30	0	70
9. ასკ (რიგა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი)	22.VII	30	0	70
10. „სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი) — რტი (მინსკი)	22.VII	30	0	70
11. „სტროიტელი“ (კუიბიშევი) — ვეფ (რიგა)	22.VII	30	0	70
საერთაშორისო ტურნირი რაგბიში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე (მოსკოვი)				
12. სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — „უელსი“	22.VII	40	10	50
13. პოლონეთი — სსრ კავშირი-1	23.VII	20	10	70

შენიშვნა: კალათბურთში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 430